ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 14

ქ. თბილისი **15.10.2019**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
5. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი.
8. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე
9. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორი
10. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს "დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას" დირექტორი
11. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ნინო ფეტვიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი.

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

რამაზი გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი - ელ - სი

დირექტორი - მარინე დეკანოიძე

ა(ა)იპ ორ ავნერ და ჰანა

სკოლის აკადემიური დირექტორი - სალომე ფილფანი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი - ელ - სი

ნოდარ ანგურიძე

ლალი აბდალაძე

ა(ა)იპ ორ ავნერ და ჰანა

ნინო გვარამაძე

თამარ ჩხიკვაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 13:00 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს ყველა წევრი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი - ელ - სი - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. ა(ა)იპ ორ ავნერ და ჰანას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი - ელ - სი - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.1 ექსპერტ ნოდარ ანგურიძის თქმით, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა მატერიალური რესურსების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, რადგან სკოლამ შეიცვალა ფართი და გადავიდა ახალ მისამართზე. მისი თქმით, სკოლის ახალი ფართი მდებარეობდა ჯურხა ნადირაძის N46 - ში. აღნიშნულ მისამართზე ოთხსართულიანი შენობა იყო, რომლიდანაც სკოლას იჯარით აღებული ჰქონდა მესამე სართული მთლიანად 743,69 კვ.მ. და ნულოვანი სართულის 191.39 კვ.მ. შენობის სხვა სართულებზე მოქმედებდა სხვა იურიდიული პირები, რომლებსაც შესასვლელი ჰქონდათ სხვა სადარბაზოდან, სკოლის სადარბაზო შესასვლელით მხოლოდ სკოლა სარგებლობდა,

დირექტორის განმარტებით, მხოლოდ ევაკუაციის დროს ისარგებლებდნენ ერთმანეთის გასასვლელებით. იჯარის ხელშეკრულება მოქმედებდა 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას ელექტროენერგია, წყალი და გაზი მიეწოდებოდა საქალაქო ქსელიდან. სკოლას დაწყებული ჰქონდა დამოუკიდებელ აბონენტად რეგისტრაციის პროცესი. ამ მიზნით, სკოლამ შესაბამის ორგანიზაციებში გააგზავნა საკუთარი წარმომადგენელი თხოვნით, რომ მისამართის ცვლილებასთან დაკავშირებით, განეხორციელებინათ შესაბამისი სამუშაოები და სკოლა უზრუნველეყოთ შესაბამისი მრიცხველებით. აღნიშნული სამუშაოები ვიზიტის პერიოდისთვის დაწყებული არ იყო და სკოლა იყო სამუშაოების დაწყების მოლოდინის რეჟიმში.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, სკოლამ მოაგვარა აღნიშნული საკითხი და საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტის თქმით, სკოლას შინაგანაწესში შემუშავებული ჰქონდა სკოლის ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები. წესების მიხედვით გამოყოფილი იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი: სკოლის სამეურნეო ნაწილის უფროსი, რომელსაც გაწერილი ჰქონდა თავისი მოვალეობები ხანძრის პრევენციისთვის და ხანძრის შემთხვევაში. საკლასო ოთახებში ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა ასევე ევალებოდა სასწავლო ნაწილს და კლასის დამრიგებელს.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას საევაკუაციო გეგმები დამზადებული არ ჰქონდა, თუმცა დამზადების პროცესისთვის მზადება დაიწყო, რისთვისაც მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და გააფორმა ხელშეკრულება. სკოლას ჰქონდა ცეცხლმაქრები, რომელიც წამოიღო ძველი შენობიდან. სკოლამ აღნიშნული ცეცხლმაქრები გადამუხტა და საევაკუაციო გეგმის დამზადების შემდეგ, მათ განათავსებდა საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. სკოლის წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ამ დროისთვის აღნიშნული ხარვეზი მოგვარებული იყო და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს , რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი - ელ - სი - ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 11

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი - ელ - სი - ის (ს/კ: 204872174) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. ა(ა)იპ ორ ავნერ და ჰანას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.1. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა სიტყვა და საბჭოს წევრებთან დააყენა შუამდგომლობა, რომ სურდათ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. საბჭომ ითათბირა და დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 15:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე